ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 30 09 2020 წ.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №15

**„ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 14 სექტემბრის №12 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მოქმედი წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და უნივერსიტეტის მართვის დებულების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 14 სექტემბრის №12 ბრძანებაში და მისი პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სასწავლო პროცესი განხორციელდეს დისტანციურად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ ქალაქ თბილისში მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დაკავშირებით შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების ვადით“.

2. ბრძანება გასაცნობად და მათთვის განკუთვნილი ამოცანების შესასრულებლად დაეგზავნოთ უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს და თანამდებობის პირებს.

3. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე ბრძანების განთავსება.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი,
პროფესორი

სერგო ვარდოსანიძე